# ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ № 84

-24- მაისი- 2011 წელი ქალაქი ქუთაისი

წინამდებარე ხელშეკრულება დაიდო „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონის შესაბამისად.

ერთის მხრივ ააიპ "ქალაქ ქუთაისის ბაგა-ბაღების გაერთიანება" დირექტორის მაია პაქსაძის სახით (უფლების დამადასტურებელი დოკუმენტი ქალაქ ქუთაისის მერის 2010 წლის 30 დეკემბრის #2054 ბრძანება; მისამართი: 4600, ქქუთაისი, შ. რუსთაველის გამზ. №3; ს/კ 412675396; ტელ: 8231 5-37-00) (შემდგომში „შემსყიდველი")

მეორეს მხრივ შპს „ელიტ მასტერი" მისი დირექტორის ლევან გოცაძის სახით (მისამართი: ქქუთაისი, ზუხაიძის მე–2 მკრ. #30/30 მობ: 891702734; ს/კ 412676484; სს„პრივატბანკი" ქუთაისის ფილიალი, ა/ა GE81TP0036080070000385 (შემდგომში „მიმწოდებელი")

ვდებთ ამ ხელშეკრულებას შემდეგზე:

## 1. ხელშეკრულების საგანი

1. ააიპ „ქალაქ ქუთაისის ბაგა-ბაღების გაერთიანებისათვის" შემდეგისახის სამუშაოების შესყიდვა, მომსახურება, მონტაჟი:

1.1 №34 ბაგა-ბაღი, მის:ლერმონტოვის ქ.№2. წყლის ახალი ავზის მონტაჟი, საქონლის შესყიდვის ღირებულება 80 (ოთხმოცი) ლარი, მომსახურება 150 (ასორმოცდაათი) ლარი, სულ საერთო ღირებულება 230 (ორასოცდაათი) ლარი

1.2 №10 ბაგა-ბაღი, მის:ი.აბაშიძის ქ.17-გ, კანალიზაციის ახალი სისტემის მონტაჟი, (შენობაში-სამზარეულოში) საქონლის შესყიდვის ღირებულება 160 (ასსამოცი) ლარი, მომსახურება 90(ოთხმოცდაათი) ლარი, სულ საერთო ღირებულება 250 (ორასორმოცდაათი) ლარი.

1.3 №10 ბაგა-ბაღი, მის:ი.აბაშიძის ქ.17-გ, კანალიზაციის სისტემის გაწმენდითი სამუშაოები, (გარეთა მილებზე დაერთება და შიდა სისტემის გაწმენდა) მომსახურების ღირებულება 150 (ასორმოცდაათი) ლარი.

ზემოხსენებული მომსახურების საერთო ღირებულებაა 630 (ექვსასოცდაათი) ლარი.

2. დანართი №1,№2,№3,წარმოადგენს ხელშეკრულების ნაწილს.

2.ხელშეკრულების შესრულების კონტროლი

2.1 „შემსყიდველის" მხრიდან „მიმწოდებლის" მიერ მოსაწოდებელი, ან მოწოდებულ საქონელზე კონტროლს განახორციელებს ააიპ „ქალაქ ქუთაისის ბაგა-ბაღების გაერთიანების" შესყიდვების კოორდინატორი გიორგი ბუაძე

2.2 „შემსყიდველი" ვალდებულია შეუფერხებლად აანაზღაუროს მოწოდებული საქონლის ღირებულება ამ ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ვადაში. მიწოდების პროცესში მიმწოდებელი და შემსყიდველი საჭიროების შემთხვევაში განიხილავენ მიწოდებისათვის გაწევის ვადებში ცვლილებების შეტანის საკითხს

3. გარანტია

3.1 „მიმწოდებელი" იძლევა გარანტიას, რომ მიაწოდებს მაღალი ხარისხის საქონელს თანამედროვე სტანდარტების შესაბამისად დადგენილი ნორმების დაცვით, ხელშეკრულებაზე თანდართული ცხრილის შესაბამისად.

3.2 მიმწოდებელი ვალდებულია დაიცვას საერთაშორისო ნორმები და სტანდარტები ხელშეკრულების მოქმედების მანძილზე, წინააღმდეგ შემთხვევაში შემსყიდველი იტოვებს უფლებას გადახედოს ხელშეკრულების ვადაზე ადრე შეწყვეტის საკითხს

4. ანგარიშსწორება

4.1 ანგარიშსწორება ხორციელდება:

ა) ფაქტიურად მოწოდებული საქონლის ღირებულების მიხედვით.
ბ) მიმწოდებელმა უნდა წარმოადგინოს საგადასახადო კანონმდებლობით გათვალისწინებული საგადასახადო დოკუმენტაცია.

4.2 ანგარიშსწორების ფორმა იქნება: უნაღდო

4.3ანგარიშსწორების ვადაა მოწოდებული საქონლის/მომსახურეობის შესრულების შესახებ გაფორმებული მიღება–ჩაბარების აქტის დამტკიცებიდან 10 სამუშაო დღე.

4.4 ანგარისწორება განხორციელდება საქართველოს ფინანსთა მინისტრის №1046 ბრძანებით დამტკიცებული "საბიუჯეტო ორგანიზაციების მიერ ვალდებულების აღებისა და ხარჯების გაწევის წესის შესახებ" ინსტრუქციის შესაბამისად.

გ. [signature]

ქუთაისის საქალაქო სასამართლო
№----------

## 5 .საქონლის მიწოდების ვადები

5.1 მიმწოდებელი იღებს ვალდებულებას, შემსრულებელმა შეუსრულოს შემსყიდველს ხელშეკრულებით გათვალისწინებული საქონლის მიწოდება/მომსახურეობა ხელშეკრულების მოქმედების ვადის განმავლობაში.

5.2 ხელშეკრულების მოქმედების ვადა განსაზღვრულია 2011 წლის 24 მაისიდან 2011 წლის 31 მაისამდე.

## 6. შესყიდვის ობიექტის მიღება-ჩაბარების წესი

6.1 „შემსყიდველი" საქონლის/მომსახურეობის მიღებას მოახდენს ხელშეკრულების დადებიდან 2011 წლის 31 მაისამდე.

6.2 მიმწოდებლის მიერ საქონელი/მომსახურეობა მიღებულად ჩაითვლება მხოლოდ ფაქტიურად საქონლის მიწოდების დადასტურების შემდეგ.

6.3. მიწოდებული საქონელი/მომსახურეობა საბოლოოდ ჩაბარებულად ჩაითვლება მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმების შემდეგ.

## 7.ფასები

7.1 ხელშეკრულების ღირებულების პარამეტრის შეცვლა ხელშეკრულების მოქმედების მთელი პერიოდის განმავლობაში დაუშვებელია, თუკი ამ ცვლილების შედეგად იზრდება ხელშეკრულების ჯამური ღირებულება ან შემსყიდველისათვის უარესდება ხელშეკრულების პირობები.

7.2 გარდა იმ შემთხვევისა, თუკი ხელშეკრულების შესრულების პროცესში დადგინდა, რომ მასში გათვალისწინებული პირობები არ აკმაყოფილებს თანამედროვე პროგრესულ მოთხოვნებს და ორივე მხარემ გამოთქვა თანხმობა და სურვილი შეიტანონ სათანადო შესწორება ხელშეკრულების პირობებში.

7.3 ფორს-მაჟორული სიტუაციის პირობებში.

## 8. ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა

8.1 ფორს-მაჟორული პირობების გარდა, მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობისა ან/და დაგვიანებით შესრულების შემთხვევაში გამოიყენება საჯარიმო სანქციები:

8.1.1 ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების დაგვიანებით შესრულებისათვის ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე ხელშეკრულების ჯამური ღირებულების 0.1 %.

8.1.2 საჯარიმო სანქციების გადახდა არ ათავისუფლებს მიმწოდებელს ძირითადი ვალდებულებების შესრულებისაგან

8.3 იმ შემთხვევაში, თუ საჯარიმო სანქციების ჯამური თანხა თვეში გადააჭარბებს ხელშეკრულების ღირებულების 3%-ს, შემსყიდველს უფლება აქვს შეწყვიტოს ხელშეკრულება

## 9. მხარეთა უფლება მოვალეობები

9.1შემსყიდველი იღებს ვალდებულებას აუნაზღაუროს მიმწოდებელს ხელშეკრულების ფასი ხელშეკრულების პირობებში ასახულ ვადებში და ფორმით

## 10. სადაო საკითხების გადაწყვეტა

10.1 შემსყიდველმა და მიმწოდებელმა ყველა ღონე უნდა იხმაროს, რათა პირდაპირი არაოფიციალური მოლაპარაკებების პროცესში შეთანხმებით მოაგვარონ ყველა უთანხმოება და დავა, წარმოქმნილი მათ შორის ხელშეკრულების ან მასთან დაკავშირებული სხვა კომპონენტის ირგვლივ.

10.2 თუ ასეთი მოლაპარაკების დაწყებიდან 10 (ათი) დღის განმავლობაში შემსყიდველი და მიმწოდებელი ვერ შეძლებენ სადაო საკითხის შეთანხმებით მოგვარებას, ნებისმიერ მხარეს დავის გადაწყვეტის მიზნით შეუძლია დადგენილი წესის მიხედვით მიმართოს საქართველოს სასამართლოს, თუ ხელშეკრულების პირობებში სხვა რამ არ არის გათვალისწინებული.

## 11. ფორს-მაჟორი

11.1 ხელშეკრულების დამდები რომელიმე მხარის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა არ გამოიწვევს საჯარიმო სანქციების გამოყენებას და ხელშეკრულების შესრულების გარანტიის დაუბრუნებლობას, თუ ხელშეკრულების შესრულების შეფერხება ან მისი ვალდებულებების შეუსრულებლობა არის ფორს-მაჟორული გარემოების შედეგი.

11.2 ამ მუხლის მიზნებისათვის «ფორს-მაჟორი» ნიშნავს მხარეებისათვის გადაულახავ და მათი კონტროლისაგან დამოუკიდებელ გარემოებებს, რომლებიც არ არიან დაკავშირებული

შემსყიდველისა და/ან მიმწოდებლის შეცდომებსა და დაუდევრობასთან და რომლებსაც გააჩნია წინასწარ გაუთვალისწინებელი ხასიათი. ასეთი გარემოება შეიძლება გამოწვეული იქნეს ომით ან სტიქიური მოვლენებით, ეპიდემიით, კარანტინით და საქონლის მიწოდებაზე ემბარგოს დაწესებით, საბიუჯეტო ასიგნებების მკვეთრი შემცირებით და სხვა.

11.3 ფორს-მაჟორული გარემოებების დადგომის შემთხვევაში ხელშეკრულების დამდებმა მხარემ, რომლისთვისაც შეუძლებელი ხდება ნაკისრი ვალდებულებების შესრულება, დაუყოვნებლივ უნდა გაუგზავნოს მეორე მხარეს წერილობითი შეტყობინება ასეთი გარემოებების და მათი გამომწვევი მიზეზების შესახებ. თუ შეტყობინების გამგზავნი მხარე არ მიიღებს მეორე მხარისაგან წერილობით პასუხს, იგი თავისი შეხედულებისამებრ, მიზანშეწონილობისა და შესაძლებლობისდა მიხედვით აგრძელებს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას და ცდილობს გამონახოს ვალდებულებების შესრულების ისეთი ალტერნატიული ხერხები, რომლებიც დამოუკიდებელი იქნებიან ფორს-მაჟორული გარემოებების ზეგავლენისაგან.

## 12. გამოყენებული სამართალი

12.1 ხელშეკრულება დადებულია საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად და ინტერპრეტირებული იქნება საქართველოს კანონმდებლობის მიხედვით.

## 13. გადასახადები და დაბეგვრა

13.1 მიმწოდებელი ვალდებულია კანონით დადგენილი გადასახადების, გადასახდელების გადახდაზე.

მაია პაქსაძე

ააიპ ქალაქ ქუთაისის ბაგა-ბაღების

გაერთიანების დირექტორი

ს/კ 412675396;

ქ.ქუთაისი, რუსთაველის გამზ. #...

(შემსყიდველი)

შ.პ.ს „ელიტ მასტერი"

ს/კ 412676484

სს „პრივატბანკი"

ა/ს GE81TP0036080070000385 GEL

დირექტორი

ლევანი გოცაძე

(მიმწოდებელი)

№ 02

03 06 2011 წ.

დანართი №1

# ფ ა ს ე ბ ი ს   ც ხ რ ი ლ ი

**მომწოდებლის დასახელება:** შ.პ.ს „ელიტ მასტერი" , დირექტორი ლევანი გოცაძე. ს/კ 412676484, მის ბუხაიძის 2 ბ/რ 30ბ.30.

**მიწოდების ადგილი** : №34 ბაგა-ბაღი, მის: ლერმონტოვის ქ.№2

| № | დასახელება | ზომის ერთეული | რაოდენობა | ერთეულის ფასი | საერთო ღირებულება |
|---|---|---|---|---|---|
| 1 | ტიეტიკა | ც | 1 | 17 | 17 |
| 2 | ამერიკანკა3/4 | ც | 1 | 8 | 8 |
| 3 | მილი 3/4 | მ | 5 | 2 | 10 |
| 4 | პაკლი | ც | 2 | 1.50 | 3 |
| 5 | ქური 3/4 | ც | 2 | 0.50 | 1 |
| 6 | კუთხოვანა | ც | 14 | 0.50 | 7 |
| 7 | უგოლნიკი რკინის | მ | 2 | 9 | 18 |
| 8 | ამერიკანკა 32 მმ | ც | 1 | 11 | 11 |
| 9 | ადამყვანი32-20 | ც | 1 | 1 | 1 |
| 10 | ტრაინიკი | ც | 2 | 1.50 | 3 |
| 11 | მომსახურება | | | | 150 |
| 12 | სულ | | | | 230 ლარი |

მომწოდებელი:

შ.პ.ს „ელიტ მასტერი"

ს/კ 412676484,

დირექტორი: ლევან გოცაძე



დანართი №2

# ფ ა ს ე ბ ი ს   ც ხ რ ი ლ ი

**მომწოდებლის დასახელება:** შ.პ.ს „ელიტ მასტერი" , დირექტორი ლევანი გოცაძე. ს/კ 412676484, მის. ბუხაიძის 2 მ/რ 30ბ.30.

**მიწოდების ადგილი : №10 ბაგა-ბაღი, მის: ი.აბაშიძის ქ.17-ე**

| № | დასახელება | ზომის ერთეული | რაოდენობა | ერთეულის ფასი | საერთო ღირებულება |
|---|---|---|---|---|---|
| 1 | მილი 50მ.მ 2 მ | მ | 2 | 4 | 8 |
| 2 | მილი 50 მ.მ 1მ | მ | 1 | 3 | 3 |
| 3 | მილი 50 მმ. 0.5მ | მ | 1 | 3 | 3 |
| 4 | მუხლი 50მ.მ | ც | 2 | 2 | 4 |
| 5 | სამკაპი 50მ.მ | ც | 2 | 2.5 | 5 |
| 6 | ტრაპი | ც | 2 | 8 | 16 |
| 7 | მილი 70 მ.მ | მ | 6 | 8 | 48 |
| 8 | კუთხოვანა 70მ.მ | ც | 5 | 3 | 15 |
| 9 | ტრაინიკი 70 მ.მ | ც | 3 | 4 | 12 |
| 10 | ქური 70მ.მ | ც | 4 | 4 | 16 |
| 11 | მილი 50 მ.მ | ც | 3 | 5 | 15 |
| 12 | კუთხოვანა 50მ.მ | ც | 5 | 3 | 15 |
| 10 | მომსახურება | | | | 90 |
| 11 | სულ | | | | 250 ლარი |

მომწოდებელი:

შ.პ.ს „ელიტ მასტერი"

ს/კ 412676484,

დირექტორი: ლევან გოცაძე

დანართი №3

# ფ ა ს ე ბ ი ს   ც ხ რ ი ლ ი

**მომწოდებლის დასახელება:** შ.პ.ს „ელიტ მასტერი" , დირექტორი ლევანი გოცაძე, ს/კ 412676484, მის ბუხაიძის 2 მ/რ 30ბ.30.

**მიწოდების ადგილი :** №10 ბაგა-ბაღი, მის: ი.აბაშიძის ქ.17-გ

| № | დასახელება | ზომის ერთეული | რაოდენობა | ერთეულის ფასი | საერთო ღირებულება |
|---|---|---|---|---|---|
| 1 | მომსახურება | | | | 150 |
| 2 | სულ | | | | 150 ლარი |

მომწოდებელი:

შ.პ.ს „ელიტ მასტერი"

ს/კ 412676484,

დირექტორი: ლევან გოცაძე